საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-436

ქ. თბილისი

22/05/2019

სს „ჩარხმშენებლის“ ნავთობპროდუქტების საცავზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

მიმდინარე წლის 15 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა სს „ჩარხმშენებლის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 1997 წლის 30 დეკემბერს გაცემული N90 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

1997 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ სს „ჩარხმშენებლის“ ნავთობპროდუქტების საცავზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №90; 30.12.1997; ქ. თბილისი, ქარხანა „ჩარხმშენებლის“ ტერიტორია), თუმცა მინისტრის შესაბამისი ბრძანება გამოცემული არ არის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პერიოდისთვის დასკვნები გაცემულია შესაბამისი ბრძანების გარეშე, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2003 წლიდან აღნიშნული ტერიტორია გასხვისდა და რეზერვუარები გაიტანეს ჯართის სახით. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სს „ჩარხმშენებლის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სს „ჩარხმშენებლის“ ნავთობპროდუქტების საცავზე გაცემული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №90; 30.12.1997; ქ. თბილისი, ქარხანა „ჩარხმშენებლის“ ტერიტორია) ;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „ჩარხმშენებელს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ჩარხმშენებლის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი



მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი